

ქალაქ ქუთაისში, სადგურ რიონის N3 საცხოვრებელ სახლში განთავსებულ ერთოთახიან ბინაზე, მოქალაქე ნუგზარ გოგოლაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა სადგურ რიონის N3 საცხოვრებელ სახლში განთავსებულ ერთოთახიან ბინაში მცხოვრები მოქალაქე ნუგზარ გოგოლაძის განცხადება /2013 წლის 08.02 Nგ-1443/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, სადგურ რიონის N3 საცხოვრებელ სახლში განთავსებული ერთოთახიანი ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, სადგურ რიონის N3 საცხოვრებელ სახლში განთავსებულ ერთოთახიან ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნუგზარ გოგოლაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, სადგურ რიონის N3 საცხოვრებელ სახლში განთავსებულ ერთოთახიან ბინაზე /საერთო ფართობი 26,27 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 15,17 კვ.მ, დამხმარე ფართობი 11,10 კვ.მ./ მოქალაქე ნუგზარ გოგოლაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა ა.ძოწენიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე